**გაზეთი ღირს:**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და ყოველ-გვარი განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზე, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი — სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1886 წელიწადი


ტფილისი, 29 იანვარს

ჩვენს გუშინდელს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ სახელმწიფო ტყეების მოსავლელად საჭიროდ დაინახა ეხლანდელი ტყეთათვის დაწესებული გამგეობა შეეცვალა, უფრო-უკეთ და ერთ-ნაირად დაეყო მოხელეთათვის სივრცენი ტყისანი და თვით გამგეობაც, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, სატყეო მოხელეობაც აწინდელ მოთხოვნილებისამებრ მოეწყო. ჩვენ ამ განკარგულებას არ შევეხებით, რადგანაც სამინისტრო ამ შემთხვევაში ჩვენზედ უფრო მცოდინარეა და როგორ უნდა მოწყობა სატყეო მოხელეობას სახელმწიფო საჭიროებისამებრ, მას ჩვენზედ უფრო უკეთ უნდა მოეხსენებოდეს. ჩვენ მარტო ჩვენი სიამოვნებადა გვმართებს გამოვაცხადოთ, რომ სამინისტრომ ტყეების საქმეს თავისი ყურადღება მიაქცია და რადგანაც ყურადღება მიაქცია, ჰსჩანს უცვნია კიდეც, რომ ძველნი წესნი სახელმწიფო ტყეთა მოხელეობისა აღარ ეშესაბამებიან ახალს მოთხოვნილებას. უეჭველია, ეს სამართლიანი აზრი წარმომდგარია იქიდამ, რომ აწინდელი მოხელეობა ვერც სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება, როგორც სასურველია სამინისტროსათვის, და ვერც თვითონ ერსა ჰშველის რიგიანად და გაუჭირებლად იხმაროს სახელმწიფო ტყე, ურომლისოდაც, თუ არ ყველგან, ბევრგან მაინც, ტყის არა-პატრონი გლეხ-კაცობა ერთს დღესაც ვერ გაჰსძლებს. ათას-ნაირი დრტვინვა და ჩივილი გლეხ-კაცთაგან ტყის ხმარების თაობაზედ, მიღწეული მთავრობის ყურამდე, ცხადად გვიმტკიცებს, რომ აქ რაღაც მავთულებია შეშლილი, რაღაც იმისთანა წესებია, რომელიც ვერ შეუფერებია, ვერ შეუწყნარებია აქაურს გლეხ-კაცობას და მის ყოფა-ცხოვრებას ვერ მოუხდენია, ეს ამბავი მით უფრო სამწუხაროა, რომ უეჭველი წადილი მთავრობისა ამ საქმეში ერთია: გლეხ-კაცობას არ გაუჭირდეს, ამ ერთს არსებითს საჭიროებას თვისსა ადვილად და დაუმძიმებლად გაუძღვეს და სახელდობრ, არც ტყე წახდეს საბოლოვოდ და არც მხმარებელი დაიჩაგროს.

სრულად თანაუგრძნობთ რა სამინისტროს მეცადინეობას, რომ არამც თუ სახელმწიფო ტყეები, არამედ კერძონიც ფრთხილად ხმარებულ იყვნენ, უწყალო ჩეხისა და კაფვისაგან როგორმე დახსნილ და საბოლოვოდ გამოზოგვილ. მეტად არ მიგვაჩნია ამასთანავე ვაღვიაროთ, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექციოს თვით ტყის ხმარების წესებსაც, რომელთა ზედაც დამოკიდებულია როგორც გამოზოგვა ტყისა, ისეც შეღავათი გლეხ-კაცობისა ტყის ხმარების საქმეში.

ჩვენის ფიქრით, არც ერთს ნაწილს კანონ-მდებლობისას ხელ-ახლად გადათვალიერება არა ჰსჭირია ისე, როგორც ტყეთა ხმარების წესებსა იმ მხრით, რომ იგი წესები შეეფეროს და შეეწონოს აქაურის გლეხ-კაცობის მართლა-და განსაკუთრებულს, სხვის არა-მგზავსს ყოფა-ცხოვრებასა. რიგი და უფლება ტყის ხმარებისა ჩვენში სულ სხვა უნდა იყოს, სულ სხვა საძირკველზედ უნდა იყოს ამოყვანილი და დადგენილი. შორს რომ არ წავიდეთ, მარტო ის გარემოება, რომ აქაურს გლეხს ფარღალალა სახლი აქვს, «ფეჩის» მაგიერ კერაზედ ჰთბება და კერაა მისის სახლის ერთად-ერთი მათბუნებელი, საკმარისად პატივ-სადები საბუთია სულ სხვა წესებისა და რიგის დასადგენად ჩვენში შესახებ საშეშეთ ტყის ხმარებისა. ამას ისიც სათადოა დაუმატოთ, რომ პურის საცხობლად ჩვენებურს გლეხს თორნე აქვს და არა «ფეჩი». რუსი რომ ფეჩს გახურებს პურის საცხობლად, ამასთანავე თვითონაც ჰთბება და სახლსაც ათბობს; თორნე კი ამ სამსახურს ვერ გაუწევს ჩვენებურს გლეხსა, რადგანაც თორნეს გლეხ-კაცის კერასთან, თუ სახლთან არა ვითარი კავშირი არა აქვს. გარდა ამისა სათანადოა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ჩვენებურს გლეხს კერაზედ ცეცხლი გაუქრობლად უნთია თითქმის განუწყვეტლად მთელის წლის განმავლობაში. ახლა აიღეთ ისიც, რომ რუსის გლეხს ვენახი სულ არა აქვს და ბაღი იშვიათად. ჩვენებურს გლეხს კი ვენახიცა აქვს, ბაღიცა, თუ ყველგან არა, მომეტებულს ადგილას მაინც, და რადგანაც ვენახსა და ბაღს მარგილი და ჭიგო უნდა, ესეც სულ ასხვაფერებს საქმესა. ყოველს ამას რაკი სახეში ვიქონიებთ, ცხადზედ ცხადად წარმოგვიდგება უეჭველი და არსებითი საჭიროება, რომ ჩვენში ტყის ხმარების თაობაზედ სულ სხვა განსაკუთრებული კანონები უნდა დაიდვას უსათუოდ ამ ჩვენს განსაკუთრებულს გარემოებაზედ მოწყობილი. ამისათვის ხელ-ახლად გადათვალიერება ტყის ხმარების წესებისა, რომელნიც დღეს უფრო ზოგადის თვისებისანი არიან და არა ჩვენებურ გარემოებასთან შეწონილნი, აუცილებლად საჭიროა. იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამ მხრივაც შესაფერს განკარგულებას მოახდენს.

---

ჩვენი თავად-აზნაურობა მუდამ განკერძოებული წოდება იყო; მას თვისი უპირატესობა ჰქონდა თითქოს ყველაფერში. პირველად იგი თითქმის სამხედრო წოდებას წარმოადგენდა, იყო მამულის და სარწმუნოების გუშაგი, მუდამ შეიარაღებული და ყურ-მახვილი ამ ორს—ხორცისა და სულის აკვანს თავს დასტრიალებდა და ათას ნაირი მაცდურებისა და ძალადობისაგან იფარვიდა. ვინ იანგარიშებს, რავდენი სისხლი დაუღვრია სამშობლოსათვის! მისი ყოველ-დღიური ზრუნვა ეროვნებისა და სარწმუნოების დაცვა და გამაგრება იყო. მაგრამ ამ უკანასკნელს ხანებში გარემოება შეიცვალა: გარეგანი თვალ-საჩინო მტერი, რომელიც თოფ-იარაღით მოიგერებს და მხოლოდ, ჩვენს ქვეყანას მოშორდა, სახარებას ყორანი აღარ ებრძვის და ტახტს სერასკერი. ამ გვარად თავად-აზნაურობას თითქო საქმე შემოელია, საზრუნველი საგანი გამოელია. რაღა თქმა უნდა, ახლა თავად-აზნაურობას თვისი გული და გონება ეკონომიურ განკარგებას და გონების გახსნას უნდა მიაპყროს და, უნდა გავტყდეთ, ამ წოდებას ყოველ-გვარი საშუალება ხელს უწყობდა ამ სასიკეთო საქმის დაწყებისა და დაგვირგვინებისათვის: ბლომად ჰქონდა მიწა-წყალი, ყმა და მოსამსახურე, დიდი უფლებანი სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში. სახელმწიფო სასწავლებლებიც მხოლოდ მათთვის იყო კარ-ღია უკანასკნელს დრომდის. ამას გარდა რუსთა მმართებლობამ მას მიანიჭა დიდი უფლება: თავად-აზნაურობას ნება მიეცა ჰყოლოდა თვისი რწმუნებული და წარმომადგენელი, რომელსაც კანონისამებრ შეეძლო პირ-და-პირ ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე თავად-აზნაურთა და მათ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. თუმცა ასე იყო მოწყობილი თავად-აზნაურთა საქმე, მაგრამ მან ვერ მოახერხა გამოეყენებინა მინიჭებული უფლებანი, ვერ მოახერხა თავის თავისთვის ზრუნვა. მან ვერ აღირჩია წინამძღვრად უკანასკნელ ჟამამდის ისეთი თავიანთი კაცები, რომელთაც შეძლებოდათ გამოცდილის წინ-დახედულობით და გამჭრიახობით ოდნავ მაინც შეემსუბუქებიათ მწარე მომავალი აზნაურთა ცხოვრებისა. მათ წინამძღვართ ზრუნვა მხოლოდ ის იყო, რომ გამვლელ-გამომვლელს სტუმრებისთვის სადილ-ვახშამი გაემართებინათ და საპატიო ყარაულები მძვირფას ქამარ-ხანჯლით გამოწყობილი რაზმში ყოფილიყვნენ გამოჭიმულნი. ამით იწყებოდა და ამით თავდებოდა მათი მოღვაწეობა. სხვა წოდება კი ასე არ იქცეოდა. ამ დროს სამღვდელოება სამრევლო სკოლებს, სასულიერო სასწავლებლებს და სემინარიას მართავდა მმართებლობის დახმარებით. და დღეს მათ მტკიცე საძირკველზე უდგასთ ნივთიერად ხსენებული სასწავლებლები. მოქალაქეებმაც გაიწყეს თვისი ცხოვრებისა და ხელობის შესაფერ-

---

# ფელეტონი

## საუბარი ვაგონში

(დასასრული *)

ხშირად გაიგონებთ ამ ჟამად ლაპარაკს პრიკაზსა და სახელმწიფო ბანკზე, რაკი ორიოდე თავად-აზნაური შეხვდება ერთმანეთსა. ვაგონ'ში ერთს ჯგუფს ამ საგანზე ჰქონდა მუსაიფი.

— თქვენმა მზემ, პრიკაზი ისევა სჯობდა ამ ჩვენ თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკებსა. პრიკაზი მაინც გვაცლიდა. აი დღესაც რამდენი ვალია ჩვენის თავად-აზნაურობისა და ჯერაც ისეა დაყენებული, ეს ჩვენი ბანკი კი ჩვენ დასაქცევათ გავმართეთ. ორ დღეს არ გვაცლის და სარგებელს დიდს ილებს. ჰსთქვა ერთმა გულ-დამწვარმა აზნაურმა, რომელსაც ამ ახლო ხანებში სათავად-აზნაურო ბანკში მამული გაჰყიდვოდა.

— მართლა, რა ამბავი ისმის პრიკაზის ვალებისა, ჰკითხა მოხუცმა გვერდ მჯდომ ყმაწვილ-კაცს, ქალაქიდამ მომავალს.

— არაფერი ამბავი არ ისმის სოფლის მამულებზე, ანგარიშები ჯერ არ შეუდგენიათ, რომელ მამულს რამდენი გადასახადი ედება. აგრეთვე მამულები ვერ უპოვნიათ ჩვენს უეზდებში და ამაზე მიწერ-მოწერა არის.

— აი ვაცხონე იმათი დამგირავებელი! ვერც მამული უპოვნიათ და ვერც ვის გადაახდევინებენ. ჩვენ ბანკსა გვანებია. ჰსთქვა აზნაურმა.

— მერე რა კარგია? ხაზინა თავისას იპოვის საიდანმე, მოსძებნის დამფასებლებს თუ არა და როგორმე თავისას გაიტანს. უპასუხა ქალაქელმა ყმაწვილმა.

— მართალია, შენ გაზრდას, იკითხა მოხუცებულმა, სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი გაუხსნიათ რუსეთში და ჩვენ'შიაც თხოვნას აპირობს ჩვენი თავად-აზნაურობაო, რომ მთავრობამ აქაც გაგვიმართოსო.

— არ გამიგონია, თითო-ოროლა სიტყვა კი შემიტყვია, უპასუხა ქალაქელმა.

— სწორედ ღვთის წყალობა იქნება, ბატონო, სთქვა გულ-დამწვარმა აზნაურმა. წელიწადში ას თუმანზე თურმე ხუთი თუმანია შესატანი, თავნისაცა და სარგებლის გადასახდელათაც. მერე კიდევ სხვა-და-სხვა შეღავათიც სხვაა. ვაი რა დროს ავცდი; ასსზე ხუთს ძალიან ადვილად გადაიხდის მამული; მეტს აბა როგორ შესძლებს?

— მაშ ახლა ამ ჩვენ ბანკს რა ეშველება, ხომ დაიკეტება? იკითხა მოხუცმა.

— ჯანაბას თუ დაიკეტება, მკვახედ უპასუხა აზნაურმა. ჩემი ურგები ქოთანი ძაღლსაო. დაგირავებულ მამულებს სულ იქ გადაიტანენ და ხალხს შეღავათი ექნებათ.

— უკაცრავათ კი ნუ ვიქნები და სწორეთ მოგახსენოთ, ვერც ეგ უშველის ჩვენს საქმესა, ჩააკერა სიტყვა ერთმა ხნიანმა მღვდელმა, რომელიც აქამდის ჩუმად იჯდა.

— როგორა, ბატონო, როგორა? ჰკითხა რამდენმავე ხმამ ერთად.

— ასე, რომ რამდენსაც ადვილად ფულსა შოვობს ჩვენი ქართველი თავად-აზნაური, უფრო ვალებში ებმის და უფრო ადვილად ეყიდება მამული. ამ სიტყვაზე შეატყო, რომ გაუკვირდათ სხვებს და არ დააცალა ვისმე ეთქვა რამე. მოგახსენოთ ახლავე. ჯერ ხომ მამა-სისხლად დიდის სარგებლით ილებდნენ ფულსა ჩვენი მამები. ოცი პროცენტი იყო ჩემ სიყმაწვილეში. ფულის გამცემელნი მამულს არც კი იგირავებდნენ, და თუ იგირავებდნენ ნახევრის-ნახევარს ფასად. ამიტომ კიდეც ძალიან ცოტასა ჰქონდა დაგირავებული. რაკი პრიკაზი დაფუძნდა, ნაკლები სარგებელიაო, ყველა თავ-გლეჯით ცდილობდა დაეგირავებინა. ახლა სათავად-აზნაურო ბანკი გაიმართა და კიდევ ტყაპა-ტყუპით ეცნენ. თუ გაჩნდა კიდევ რამე ბანკი, სულ ერთი მამული აღარ დარჩება დაუგირავებელი და ჩვენი თავად-აზნაურობა სულ უმამულოდ დაჯდება.

— ბატონო, რად დაჯდება,—პატარა სარგებელს ადვილად გადიხდის და მამულიც შერჩება. უპასუხა აზნაურმა.

— შენც არ მამიკვდე! შებრალების სახით შეუქცია სიტყვა მღვდელმა. ქართველი კაცი რომ ვალს აილებს, განა გადახდას-ღა იფიქრებს, რაც უნდა გაადვილებული იყოს.

— მაშ თქვენ ბანკები უსარგებლო გგონიათ რაღა? ჰკითხა ქალაქელმა ყმაწვილმა.

— ფრიად უსარგებლოდ მიმაჩნია. ხალხს ვალში ჰყრის და საშვილიშვილო მამულებს აკარგვინებს.

— ბანკი თუ არ იყოს, ისე კი არ დააგირავებენ? წელან თქვენვე ბძანეთ ურიებზე და სომხებზე აგირავებდნენო. უთხრა ქალაქელმა.

— ისეც აგირავებდნენ, მაგრამ ადვილი არ იყო. ბანკებმა გააადვილა. უპასუხა მღვდელმა.

— მამაო, ხომ სულ ერთია. რაკი ჩვენ უთაურები ვყოფილვართ, დღეს იქნება თუ ხვალ, ბანკი იქნება, თუ

*) «ივერია» №№ 20, 21, 22, 1886 წ.

დი სასწავლებლები; გლეხობას მალაულებურად აშენებინეს სასკოლო სახლები. თავად-აზნაურობა ამ დროს ცას მანანის მოლოდინში შესჩერებოდა, მაგრამ ახლა, რაკიც უბედურობაა, მანანა აღარ ცვივა ზეციდამ და რისთვის დავაღოთ ხახა?! კიდევ მადლობა ღმერთს, რომ დაარსდა სააზნაურო ბანკები ტფილისსა და ქუთაისში. ახლა თითქო საზრუნველმა საგანმა თავი წამოჰყო თავად-აზნაურთათვის. მაგრამ აქაც აზნაურულად წავიდა საქმე. ვინც გაიტანა სესხი, შესჭამა კიდეც; ის როდი-ღა იფიქრა, რომ ვალს გადახდა ეჭირებოდა. გაუტკბა ფარა და მანამდე არ შემოელია, ჰფლანგა და მერმე, როცა მოვალე კარზე მოადგა, ჯეროვანის გადასახადის მაგივრად, მამული ჩააბარა ბანკს. ამგვარად გამოეთხოვა მამა-პაპისეულს. ბანკი აბა რა მეურნეა, რომ სოფლის მამულებისაგან ესარგებლნა? მსყიდველიც არავინ აღმოჩნდა ამ ქესატობის დროს და ამ ნაირად ბანკმა იზარალა. ამის გამო მისი შემოსავლით სარჩენს სასწავლებლებს ცოტათი სარჩო და საგზალი შემოაკლდათ. ახლა მიჰმართეს სკოლის მზრუნველებმა თავად-აზნაურობას: თუ შვილების გაზრდა გინდათ, ბანკის შემოსავალი არა კმარა ასე დიდ სასწავლებლების შესანახადაო და, აბა, ვისაც რამე შეგიძლიანთ, თქვენდა საკეთილდღეოთ, თქვენ შვილთა გონების აღმატებისათვის, რომ პირში ენა არ გაგვიცივდეს და თავში ტვინი არ გაგვილაყდეს, ორიოდე გროში ბანკის შემოსავალს დაადეთ და ამ სისხო სკოლებს ნუ შეაფერხებთო. ამის გამგონე თავად-აზნაურს იმ წამსვე ასე უნდა მოესაზრებია: ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ჩვენი ერთად-ერთი დაწყებული საქმე—სკოლა წაგვიქცეოდეს, ამის უკეთესი საზრუნველი საგანი ჩვენ არ გამოგვიჩნდება! ღორს გავყიდით, ბატსა და ინდაურს არ შევირჩენთ, ძროხასა და ცხენს არ დავზოგავთ და ხუთი ექვსი მანათის გადახდას როგორ დავიზარებთ, რომ სკოლა არა თუ წაგვექცეს, პირ-იქით გავაფართოვოთ, სასწავლებლის მოსათავსებელი სახლი ავიშენოთ და ბინა შევიძინოთო. ამ ჰაზრისა უნდა ყოფილიყო ყველა თავად-აზნაურთა ქალი და კაცი. მაგრამ როცა ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მზრუნველმა კომიტეტმა სწავლების შემოსატანი ფული დაუწესა მოსწავლეთა მშობლებს, ზოგიერთა აზნაურმა ულვაშის გადაგრეხით წამოიძახა: რას ჰქვია, ვის ჰქვია სწავლებისთვის შესატანი ფულიო!! ბანკი მიტომ დავაარსეთ, რომ შვილებიც მან უნდა გამოგვიზარდოს, ფულიც მოგვცეს, ჩაგვაცვას, დაგვხუროს და სხვანიო. რასაკვირველია, ასეთი მსჯელობა სამწუხაროა, მაგრამ კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ამის მთქმელნი ცოტანი არიან და ასე, თუ ისე, ესენიც მალე მოვლენ გონებას და რაკიც საშიშარს სახელს «გადასახადიო» არ უწოდებენ იმ ორიოდე გროშს, რომელიც მათის შვილების სწავლებისათვის დაიხარჯება და არა სხვა რამისთვის. ნუ დაივიწყებენ ხსენებულნი პროტესტანტები, რომ ყოველ კაცს რამე გადასახადი უნდა ედვას ქვეყნის ან თავის სასარგებლოდ. ჩვენ კიდევ ის გვაიმედებს, რომ ზოგიერთა უეზდიდამ სასიამოვნო ამბები ისმის თავად-აზნაურთა გულ-უხვობისა და თავის სკოლისათვის ზრუნვისა, რომელსაც მკითხველი აზმელი კორრესპონდენციიდამ დაინახავს. ახლა ამ ახალის წლის დასაწყისს ჩვენ იმას ვინატრით ჩვენი თავად-აზნაურობისათვის, რომ იგი ისე იბრძოდეს მისის შინაგანის მტერის წინააღმდეგ, რომელსაც უმეცრება ჰქვია, როგორც წინედ გარეგანი მტრის განსადევნად იბრძოდა თოფ-იარაღით. ამ ბრძოლას მას გაუადვილებს ის გარემოება, რომ დღეს დღეობით გონიერი და თავიანი წინამძღოლების პატრონი არიან.

ს. უ—ფ—ნი

## ახალი ამბავი

*** 28 იანვარს, პეტერბურგის ბირჟაზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ათ თუმნიან გირავნობის ფურცლებში 94 მ. უძლევიათ და ქუთაისისაში $93^1/_2$, მაგრამ გამსყიდველთ ტფილისის ბანკის ფურცლებში $94^1/_4$ მან. მოუთხოვიათ.

*** ქვა-გუნდის მწარმოებელნი შუამდგომელობენ, რომ ქვა-გუნდიანი მამულები მალე გაიმიჯნოს და გზა გაკეთდეს ჭიათურადამ ყვირილამდე. ამ გზის შესახებ სხვა-და-სხვა პროექტები იქმნა შედგენილი: ზოგი ამბობდა, რომ ცხენის რკინის გზა გაიმართოსო, ზოგი ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზაო. ყველა ეს პროექტები უარ-ჰყვეს და გზის გაყვანა მიანდეს ამიერ კავკასიის რკინის გზის საზოგადოებას, რომელსაც ამ ნაირი საქმისათვის მზადა აქვს თავისი სახელოსნოები და ბევრი საჭირო მასალა. (გაზ. «კასპი»)

*** ამავე გაზეთში სწერია: საბუნჩის ნავთის წყაროების ახლოს ერთი ახალ-გაზდა ქალი, შუა დღის შემდეგ, დასეირნობდა ხოლმე, როცა კარგი დარი იდგა. 15 იანვარსაც, ეს ქალი, ჩვეულებისამებრ, დასეირნობდა წყაროებისკენაო, მაგრამ ცოტა შორს წავიდაო: უცებ, საიდგანღაც გაჩნდა ვიღაც ზორბა თათარი, მივარდა ქალს და გააქანა ხევისაკენაო. თუმცა თათარმა ქალს ხელსახოცი ჩაუდო პირში, მაგრამ მან რამდენჯერმე საშინლად შეჰკივლაო. ახლო-მახლო მყოფს მუშებს შემოესმათ ეს ხმა და გაეშურნენ ქალის დასახმარებლადაო. თათარმა რომ დაატყო, საქმე ცუდად არისო, გაანება, თურმე, თავი ქალს და მოჰკურცხლა. კარგია კიდევ, რომ ასე კარგად გათავდა ეს ამბავიო, ამბობს ბაქოს გაზეთი, თორემ ხომ შეიძლებოდა, რომ ფრიად სამწუხაროდ გათავებულიყოო.

*** ზოგიერთს მომრიგებელს მოსამართლეს წარსულის, 1885 წლის განმავლობაში დიდ-ძალი საქმეები განუხილავს და გაუთავებია. მაგალითად, 1-ლი განყოფილების მომრიგებელს მოსამართლეს ზემო აღნიშნულ ხანში 3,589 საქმე გადაუწყვეტია. («Нов. Обоз»)

*** განჯის გუბერნიიდამ სწერენ ამავე გაზეთს: ჯევნშერის მაზრაში სრულიად უთოვლო ზამთარიაო და ეს გარემოება მოსავალს კარგს საქმეს არ დამართებსო. ეს ფრიად სამწუხაროა, რადგან აქაურებს დიდძალი ხვნა-თესვა აქვთო და რკინის გზის შემწეობით ბევრს პურსაცა ჰყიდისო. ამ იმედით წელსაც ყველამ ბლომად დათესა პურიო და ზამთარიკა ასეთი დაგვიდგაო.

*** ქიზიყიდამ გვწერენ: სოფ. მაღაროში, ამ თთვის 25-ს, ცეცხლი წაეკიდა ერთს მცირე-წლოვანს ყმაწვილს და დაიწვაო. ბუხარში ცეცხლი ყოფილა გაჩაღებული. ამ ბუხარს მისდგომია ორი ყმაწვილი და, როცა მათი მამა სამუშაოზე წასულა, ხოლო დედა მეზობლებისას, ყმაწვილებს მეგუზალი გადუგდიათ ბუხრიდამ. უმცროსს ყმაწვილს ცეცხლი ზედ გადაჰყრია და ვიდრე დედა შეიტყობდა და მობრუნდებოდა, ყმაწვილი დამწვარა.

*** ჩვენ გვაცნობებენ, რომ ქართლში ფრონის ხეობისკენ წითელა არის გავრცელებულიო. უმეტესობა ყმაწვილობისა ადვილად ხდილობს ამ მოარულსაო.

*** გურიიდამ გვწერენ, რომ ჩვენსკენ ძალიან ხმელი, უთოვლო ზამთარი არისო, აგერ თითქმის ერთი კვირა გადის, ზენა ქარი ჰქრის იმერეთიდამაო. შენიშნულია, რომ ეს ქარი აქ სხვა-და-სხვა ავად-მყოფობას ჰბადავსო. ოზურგეთში პატარა ყმაწვილებს ყელის ტკივილი დასჩემდათო.—ოზურგეთში კარგა ხანია დაარსებულია გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობაო. სასურველია, რომ ამ ამხანაგობის მოქმედების ანგარიში დაიბეჭდებოდეს გაზეთშიო, რომ ვიცოდეთ, რაოდენად სასარგებლოა მისი მოქმედებაო. ამ იანვარში აქ გაიმართა ლიტერატურული საღამო აქაურის საქალებო სკოლისათვისა და შემოსავალი სამოც მანეთამდე იყოვო. სკოლა საზოგადოდ გაჭირვებაშიაო.

*** ქუთაისიდამ სწერენ გაზ. «მწყემს»:

«ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა 15 იანვარს მოუწოდა ქ. ქუთაისის ეკკლესიების ზოგიერთ მღვდლებს. ამ დღისთვის მოწოდებული იყვნენ აგრეთვე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელნიც. შეკრებილება იყო სასულიერო სასწავლებლის შენობის ერთ ოთახში." ნაშუა-დღევის ხუთ საათზე კრებაში შემობძანდა ყოვლად სამღვდელო გაბრიელი. მან მოკლეთ აუხსნა შეკრებილებას ტფილისში ღვთის-მშობლის სახელობაზე დაარსებული «ძმობის» მიზანი და დანიშნულება და მასთან ბრძანა, რომ ამ «ძმობის» განყოფილება ყოველ ეპარქიაში უნდა იქმნესო,—იმიტომ მეც ვაარსებ ამ «ძმობის» განყოფილებას ქუთაისში და იმედი მაქვს, რომ როგორც სამღვდელოება, აგრეთვე ამ სასწავლებლის მასწავლებელნი მონაწილეობას მიიღებთ ამ კეთილ საქმეში და გაუმართავთ ხალხს კვირა-უქმე დღეებში კითხვებს და მოძღვრებასო. მაშინვე დასახელებულ იქმნენ ის ეკკლესიები, რომლებშიაც უნდა იქმნენ გამართულნი ხალხთათვის კითხვანი და მოძღვრებანი. ეს კითხვანი და მოძღვრებანი დაიწყებიან მეზვერე და ფარისეველის კვირიაკიდამ.

მოლაპარაკების შემდეგ სასწავლებლის მასწავლებელნი იქმნენ დანიშნულნი ხალხთათვის სამოძღვრებლად შემდეგ ეკკლესიებში: ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში: ბბ. ი. სანებლიძე, ლუკიანოვი და ბენაევი და ამავე ეკკლესიის დეკანოზი მ. რ. გიგაუროვი; სილაზე პეტრე-პავლეს ეკკლესიაში: ამავე ეკკლესიის მღვდელი მ. ნ. ხუციევი, კათედრის სობოროს მღვდელი მ. ი. ჭეიშვილი, მასწავლებელნი სას. სასწავლებლისა: ბბ. გორგაძე, ს. მატარაძე და ცაგარეიშვილი; წმიდა გიორგის ეკკლესიაში: სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი ი. გაფრინდაშვილი და ამავე სასწავლებლის მასწავლებელნი: ბბ. სულაქველიძე, მ. ფხაკაძე და ე. ლამბაშიძე; მწვანე-ყვავილის ეკკლესიაში: ბბ. მაღრაძე, პ. კეცარიძე, სას. მოსწავლეთა აღმზრდელნი გეორგაძე და გორდულაძე; ბალახვანში სტრუიცკის ეკკლესიაში: ვ. ვ. ვასილიევი და ლაკერდაია, რომელთაც რუსულ ენაზე უნდა გამართონ მოძღვრება და კითხვანი.

«ამის შემდეგ ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა ბრძანა, რომ ამ «ძმობის» განყოფილების რჩევის წევრებს მე თითონ დავნიშნავ და რჩევის თავმჯდომარეთ იქნება დანიშნული ქუთ. სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ. ნ. გ. ტატიევიო. ამის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ შეკრებილ პირთ განუმარტა ისიც, თუ როდის და რა გვარად უნდა სწარმოებდნენ ეს კითხვები და მოძღვრებანი და წაბძანდა კრებიდამ.»

—

გუშინ წინ ღამ რკინის გზის ლიანდაგის ახლო, მე 7 განყოფილებაში, შეიარაღებულ-

---

ვაჭარი,—ფულის პატრონი თავისას მოითხოვს. უპასუხა მობაასემ.

— არ გახლავსთ ერთი. ადვილად ფულის შოვნაზე, ერთიანათ ხელიდამ წავა მამულები და სრულიათ გავღატაკდებით. ძნელად რომ ვიშოვით ფულსა, ვალიც ცოტა იქნება და მაშასადამე მამულების გაყიდვაც იშვიათი იქნება, რადგანაც ცოტას გაეყიდება. დანარჩენები იოლად წაველენ უვალოთა, შვილები მოესწრებათ, თვალს გაახელენ, გონება გაეხსნებათ, შრომას ისწავლიან და მამულს გაუფთხილდებიან, საშვილი-შვილო საუნჯეს ხელიდამ არ გაუშვებენ და უცხო კაცს არ ჩაუგდებენ.

— ეგ ძალიან კეთილი ბძანებაა, მაგრამ უფულოდ რომ მამულს ვერ გააკეთებს, ვისაც მამულის გაკეთება უნდა, ჰკითხეს მღვდელს ქალაქელმა და ზოგმა კიდევ სხვებმა.

— ჰ... თქვენგან არ მიკვირს. რის მამულის გაკეთება. ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ ჩვენმა თავადმა ან აზნაურმა მამა-პაპურად მოუაროს. კარგი მიზეზი მოუგონიათ: მამულს გაკეთება უნდაო. ვალს როილებენ, ისევ ვალებში, ან ქეიფებში ხარჯვენ. აბა მამულს ვინ მოახმარა. მერე ესეც ვთქვათ, კარგმა მომვლელმა მამულს რომ მუჰებით ფული ჩააყარო, იმდენს სარგებელს თავის დღეში ვერა ნახამ, რომ ვალის სარგებელი და თავნი გადიხადო? ჩვენში ჯერ ასეა და.

— მაშ არაფერი შველა არა ჰქონია მამულის გაკეთებასა, რაღა? იკითხა ქალაქელმა.

— რა შველაა? მამა-პაპურად უნდა მოუაროს და ნელ-ნელა და მუდმივ ისევ მამულითვე მამული წინ წასწიოს, თორემ ერთს წელიწადს და ორს წელიწადს მამულის გაკეთება ვის გაუგონია? ეგ თქვენ ქალაქში იციან, რომ აკაციის ხეებს ჩარგვენ მეიდნებზე და მეორე წელს ჩრდილოვანი ბაღი გაუჩნდებათ. თქვენ მამულის გაკეთება ესე ადვილი ხო არა გგონიათ? ცოტა მკვახედ უთხრა მღვდელმა ქალაქელსა.

— ოჰ, ოჰ, თქვენმა მზემ, დიდი ხანი უნდა, სანამ ერთ რასმე ღონეზე დააყენებ, ჰსთქვა ოხვრით მოხუცმა.

ქალაქელი ყმაწვილი კაცი ცხვირდაშვებული იჯდა და ცდილობდა გაჭირვებიდამ გამოსულიყო. მას დაეხმარა აზნაური.

— ნეტავი არ იქნება, მამაო, თქვენის ჭკუის კაცი ბევრი გვენახა, რომ ეს ჩვენი დასაღუპავი ბანკები არ გაეჩინათ.

— თქვენ ერთი საგანი დაგავიწყდათ, რომ ჩვენის თავად-აზნაურობის ბანკი ჩვენის ყმაწვილებისთვის სკოლას ინახავს, ჰსთქვა ყმაწვილმა კაცმა.

— ეგ იმან ინაღვლოს, ვისაც იქ შვილი ჰყავს, ჩააკვრა სიტყვა აზნაურმა, ხუთჯერა ვსთხოვე და შვილი არ მიიღეს, წილი არ ერგოო.

— ჰ, ჩაიცინა ქალაქელმა. თქვე დალოცვილო, სახელმწიფო მილიონებსა ხარჯავს სასწავლებლებზე და ყველა სწავლის მსურველი ვერ დაუკმაყოფილებია. ერთი ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლა ყველას როგორ დააკმაყოფილებს? სულ არა-რაობას, ორმოცამდე ყმაწვილს მაინც გზას აძლევს. ქუთაისში კიდევ უფრო მეტსა. და რასაც მამა მღვდელი ბრძანებს, ის კი ავიწყდება, რომ უგზოუკვლოდ მხარჯველი, გინდ ბანკი იყოს, გინდ არა, მაინც თავის უთაურობით მამულს დაჰკარგავს. იმისთანების შიშით თაოსან კაცს ღონე როგორ არ უნდა მიეცეს, რომ მამულის გასაკეთებლად ფულის შოვნის გზა უშოვოს. ბანკი ამათთვის არის, განა მფლანგავისათვის.

— ძალიან კარგი ბძანეთ, უპასუხა მღვდელმა, მაგრამ რაკი ბანკი ეგულება, განსაცდელში ვარდება თაოსანიც და უთაურიცა. მე ბანკის წინააღმდეგი იმიტომა ვარ, რომ უთაური კაცი ჩვენში ბევრია და ერთმანეთის მიბაძვით გამოაქვთ ფული და ჰკარგავენ მამულებსა. წედანაც მოგახსენეთ ეს ადვილი გზა არ უნდა ჰქონდეთ.

— მაშ უნდა დაიკეტოს რაღა? ჰკითხა ქალაქელმა.

— მგონია სჯობდეს. თაოსანი კაცი სხვაფრივაც მოაგვარებს საქმესა.

— სკოლაზე რაღას იტყვით, რა უნდა ეშველოს თავად-აზნაურების შვილებსა? თქვენ ეს გავიწყდებათ.

— აკი ფულის გაწერას ამბობდნენ. თანხა უნდოდათ შეედგინათ, აი იმითი შეინახონ, შეუქცია სიტყვა მღვდელმა. ჩვენი სამღვდელოება უფრო ღარიბი არ არის? სასულიერო სასწავლებლებისთვის, ან კიდევ საეკკლესიო საქმეებისთვის ფულს თუ გაიწერს, თავად-აზნაურობას რაღათ უნდა გაუჭირდეს. შეძლებაცა აქვს, ჩვენზე მეტი შეუძლია კიდეცა.

***

გადავედით ამწვანებულ ლამაზ იმერეთში. საშინლად ცხელოდა და ვაგონებში ხომ რაღა იქნებოდა. ყველას სული ეხუთებოდა. მაგრამ დაუწყნარებელი ჭიკჭიკი იმერლებისა გახშირებით მოისმოდა; ქართლელები აღარა ჰსჩანდნენ.

— რავა ჩამოცხა, დედა!

— სიმინდს ქე მოუხდა ეს სიცხე, ამ გრილ დღეების შემდეგ.

— კი, კაი ღმერთმა მოგცეს, კაია.

— რა ქნა ნესტორმა მამულისა,

ნი ავაზაკნი თავს დასხმიან ტფილისის მოქალაქის, ივანე თათულოვის სახლს. პოლიციას იქვე დაუჭერია ერთი ავაზაკთაგანი, რომელიც შეიარაღებული ყოფილა ხანჯლითა და რევოლვერით, გვარად, გეორგი ბუხრაძე. ეს ავაზაკი, ამას წინად, მეტეხის ციხეში ყოფილა დაჭერილი, ქურდობისა და ავაზაკობისათვის. გიორგი ბუხრაძემ ორი თავისი ამხანაგიც დაასახელა: ტფილისის მცხოვრებელი გიგლა გუშლუპოვი და მინასა ოჰანეზოვი. პოლიციამ ესენიც დაატუსაღა.

## ნაკვესი

თ. ივანე მაღხაზიშვილი გუბერნატორათ რომ დაჰნიშნეს, რასაკვირველია, დიამბეგები გამოეცხადნენ.

— ვაშე სიატელსტვო, უთხრა თურმე ერთმა დიამბეგმა: ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ, რომ თქვენ დაგნიშნეს გუბერნატორათ. მთავრობა აქამდე ყურადღებას არ გვაქცევდა და იმედია ეხლა თქვენ მაინც შეგვიბრალებთო.

— ბიჭო-და, ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ მთავრობა ყურადღებას არ გაქცევდათ, თორემ ყურადღება რომ მოექციათ, დიდიხანია კამჩატკაში იქნებოდითო, უპასუხა მაღხაზიშვილმა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ძველი სენაკი.** 18 იანვარი. ჩვენ გვჯეროდა, რომ უმეტესობა ჩვენის თავად-აზნაურობისა, თუ კი მე რამე საკეთილო და სასარგებლო საქმეს ვურჩევდი, უთუოდ დამეთანხმებოდა და ზურგს მოგვცემდა საკეთილ-დღეო საქმის დასაწყებად და დასაგვირგვინებლად. ეს ჩვენი იმედი გაგვიორკეცა და უფრო მკვიდრ საფუძველზედ დაამყარა ამ ახალის წლის დასაწყისში აბაშის უბნის თავად-აზნაურთა კრებამ. 4-ს იანვარს, სენაკის მაზრის უფროსის ბატ. ბებურიშვილის განკარგულებით და თანდასწრებით შეიკრიბა აქაური თავად-აზნაურობა სასოფლო სკოლის ეზოში. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლსაც მოველოდით. მაგრამ რაღაც საკუთარის მიზეზების გამო ვეღარ დაგვხვდა. ბ-ნმა ბებურიშვილმა მიჰმართა საზოგადოებას სწორედ რომ მოსწრებულის, მოსაზრებულის და ფხიანის სიტყვით. გარემოებამ ქვემორე ამისა ხელის მომწერის სიტყვაც გამოიწვია. შედეგი ის იყო, რომ კრებამ ერთ-ხმივად დაიძახა: დიდი სიამოვნებით შევსწირავთ, რაც შეგვიძლიან სენაკის სააზნაურო სასწავლებლის სახლის ასაშენებლადაო. შემწირველთა წყობა ასე იყო გარიგებული შეძლებისდა გვარად: პირველი წყობისა 15 მანეთს სწირავდა, მეორისა 10 მან., მესამისა—8-ს და მეოთხისა—6-ს. ჩვენდა სასიამოვნოდ, უმეტესობა მეორე კატეგორიისა აღმოჩნდა. ერთმა შემომწირველთაგანმა წამოიძახა: თქვენ რომ არ დაგეწესებიათ 15 მანეთი, მე 25 მქონდა მზადაო. იმ წამსვე ამოიღო ფული და «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» გამგეობის დავთარში ჩაგვაწერინა. ამის მაგალითს ბევრი აჰყვა. ჩვენდა და მთელი კრების სამწუხაროდ, აღმოჩნდა ორი მაკვინტალი აზნაური, რომელთაც, რაღაც გარეშე მიზეზის გამო, პროტესტი შემოიტანეს, მაგრამ, როცა ამოდენი კრება ამ საქმეს გულით ეკიდებოდა, ძმათა და ამხანაგთაგან გამოსხლეტას შეუშინდენ, მალე მოთვინიერდენ და ისევე ხელი მოაწერეს. ბევრი რამ გვაქვს სათქმელი ამ კრების გამო აბაშელ აზნაურთა საქებრად, მაგრამ ეგ სამერმისოდ შევინახოთ, ახლა მხოლოდ მივულოცავთ აბაშის აზნაურთ, რომ ამ ახალის წლის დასაწყისში თავიანთ შვილთა სასიკეთოდ ესეთი სამაგალითო საქმე დაიბედეს. მივულოცავ აგრეთვე მაზრის უფროსს ბებურიშვილს, რომ ამ 1886 წელს პირველი ბიჯი თავად-აზნაურთა სწავლა-განათლების წარსამატებლად გადასდგა. შემდეგ საჭყონდიდლოში გავემგზავრებით, სადაც დარბაისელი და შეძლებული თავად-აზნაურობა გვეგულება და ღმერთსა ვსთხოვთ, როგორც მათ ეკადრებათ, ისე დაგვხვდომოდენ; მერმე ბანძისა და ზედა სამეგრელოსკენ უნდა წავიდეთ. ამასთანავე საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო, რომ დიდის მადლობის ღირსია ძველის სენაკის II გილდიის ვაჭარი სოფრომ ჭუბაბრია, რომელმაც (100) ასი მანეთი შემოსწირა სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სახლის ასაშენებლად.

ს. ყიფიანი

## დამაკვირდი!

ავი დიაცი ნადირთა
დამჭერობად უმხეცესია;
თავისა დაუჩხრავი
გველთაგან უგველესია.
(მეფე ვახტანგ VI)

***

სიყვარულს ბევრი წამალი აქვს, მაგრამ არც ერთი კი უებარი არ არის. (ლაროშფუკო)

***

გენიოსობა სხვა არა არის რა, გარდა დიდის ნიჭისა მოთმინებასთან შეერთებულისა. (ბიუფფონი)

***

ცუდის სარდლის ხელში ჯარი საკლავი ფარაა ცხვრისა. (ბუასტი)

***

ჭეშმარიტნი გმირნი უფრო იშვიათნი არიან, ვიდრე დიდნი მეომარნი. (ურისტი)

***

გაწიწმატება, გაჯავრება ხმალია უღონობისა და სისუსტისა. (სეგიური)

***

პირ-წყლიანს და მჭევრ-მეტყველებურს სიტყვას ასლად თქმული ჰსჯობია. (გრაციანი)

***

სიცილიო ზოგჯერ ცრემლზედ მწარეა. (აკაკი)

***

რომის სარდალი მანი კურიოსი მიწი-ვაშლასა ჰსჭამდა, როცა სამნიტელნი მივიდნენ და ოქრო შეაძლიეს ქრთამად.

— იმ დრომდე, ვიდრე მე მიწი-ვაშლა მასაზრდოებს, თქვენი ოქრო ჩემთვის საჭირო არ იქნებაო, უთხრა უანგარო სარდალმა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბალკანის ნახევარ-კუნძულის არეულობამ მთელის ევროპიის ყურადღება მიიპყრო. ყველა ბეჯითად თვალ-ყურს ადევნებს და მოუთმენლად მოელის, რითი გათავდება ეს დაუბოლოვებელი საქმეო. ეს საქმე გულის საქმედ უფრო გახდა, ვიდრე ჭკუისად:—ერთს სახელმწიფოში თანაგრძნობას ჰბადავს, მეორეში სიძულვილს; ზოგს ზოგის გამარჯვება ახარებს, ზოგს აღონებს,—და იმას კი ყურს აღარავინ ათხოვებს, თუ რა შედეგი მოსდევს ამ არეულობას, რა ზარალი მოაქვს მრეწველობისა, აღებ-მიცემისა და ხალხთა შორის ურთიერთის განწყობილებისათვის.

საქმეები დაიწყო, ალებ-მიცემა შესდგაო, იწერება ბელგრადიდამ «Русскій Курьеръ»-ის კორრესპონდენტი. სერბიის ვაჭრები ვადაზე ვეღარ იხდიან ნისიათ აღებულის საქონლის ფულსაო; ამის გამო უცხოეთელი საქონლის პატრონებიც საშინელს გაჭირებაში არიანო და არ იციან საქმეს რა მოუხერხონო. რამდენიმე თვის უკან დაინახავთო, რითი გათავდება ეს საქმეო. ესეც სერბთა და ბოლგართ შორის ომის სიკეთეო; მაგრამ შემდეგში უფრო მეტს უნდა მოველოდეთო, რადგანაც ამ გაჭირვებიდამ გამოსვლა თითქმის შეუძლებელიაო. მაშინ რაღა იქნებაო, როცა სრული კოტრობა ჩამოვარდებაო, როცა სერბიის ვაჭრებს ვალების გადახდა სრულებით აღარ შეეძლებათო, როდესაც სერბიის ბანკები, თვითონ სერბიის სახელმწიფოც იძულებულნი იქნებიანო, ქაღალდის ფული გაამრავლონო და ამით საქმე უფრო დიდს გასაჭირში ჩააგდონო? მაშინ ის იქნებაო, რომ როგორც სერბიის ვაჭრები, ისე უცხოეთელი ვაჭრებიც, რომელნიც ამათ ნისიად საქონელს აძლევდნენო,—სრულიად ძირს დაეცემიანო.

აი რა სარგებლობა მოუტანა სერბიას და ბევრს სხვასაც თავგამომეტებულმა და შორ-დაუნახველმა მილანის პოლიტიკამ! ამ მაგალითმა მაინც ასწავლოს ჭკუა მათ, ვისაც სისხლის ღვრა, თოფზარბაზნის ჭექა-ქუხილი ისე გაიტაცებს ხოლმე, რომ უსაგნო, თავ-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ატეხილი ომი, საქვეყნო და მამულისთვის სასარგებლო საქმეთ მიაჩნიათ.

***

გუშინ დეპეშამ მოკლედ გვაუწყა გამოჩენილის რუსეთის მწერალის აქსაკოვის გარდაცვალება. მიცვალებული უკეთესი მამულის შვილი იყო. მას გულ-წრფელი მამულის სიყვარული უღვიოდა გულში; იგი სწუხდა, გული შესტკიოდა მამულისთვის და ცდილობდა რაიმე მალამო ეპოვა მის დასაცხრობლად. მისი აღტაცებული და ძლიერი სიტყვა ებრაელთ წინასწარმეტყველების სიტყვას ჰგავდა. მაგრამ არა არს შეწუნარებულ წინასწარმეტყველი სახლსა შინა თვისსა!

ამ ერთის წლის წინად გულის ფრიალი დასჩემდა და ექიმებმა ურჩიეს მუშაობისთვის დავი დაენებებინა. მაგრამ ბ-ნმა აქსაკოვმა დიდი ხანი ვერ გაჰსძლო უსაქმოდ ყოფნა. «სამშობლოს სამსახური დიდს მსხვერპლსა და თავ-განწირულებას მოითხოვსო ჩვენგან»,—ამბობდა მიცვალებული და მამულის სამსახურს კიდეც შესწირა თავი. ამ წელს ისევ დაიწყო გაზეთის გამოცემა და შუბლ-შეჭმუხვნილმა და გულ-მტკივნეულმა აი რა სიტყვებით მიჰმართა თავის სამშობლოს თავის გაზეთის «Русь»-ის პირველს ნომერშივე, და ეს სიტყვა მისი უკანასკნელი ანდერძია:

სულის სიმხნევეს და გულის სიმტკიცეს ვინატრი ჩემი სამშობლოსთვის ამ ახალს წელს! სულის სიმხნევეს და სიფხიზლეს... დიდი განსაცდელი მოგვდგომია კარს. ისტორია კარს გვირახუნებს და ნეტარ არს ყრმა მღვიძარი! რანი ვართ ეხლა, სულით ურწმუნონი, სულით მაშვრალნი! სიყვარული ჭეშმარიტებისა, სიყვარული თვისის ერისა, თვისის მამულისა ვალდებულად გვხდიან ჩვენს თავს გამოვესარჩლოთ. გზა ჭეშმარიტებისა ვარდით არ არის მოფენილი: გზა ჭეშმარიტებისა—გზაა ვაებისა და გოდებისა! სამშობლოს სამსახური დიდ მსხვერპლსა და თავ-განწირულებას თხოულობს ჩვენგან. სამარცხვინო სულ-მოკლეობაა ამ ტვირთის უარ-ყოფა. ან ნუ თუ სასო-წარკვეთილებას თავი მივეცით და აღარ გვრწამს, რომ ჩვენ სამშობლოს მერმისი აქვს. ნუ თუ ვისმეს ჰსურს, გზას აუხვიოს და მამულის წინაშე მოვალეობას ზურგი უქციოს? ისტორიის ბედს და დანიშნულებას წინ ვერ წაუვალთ; ადრე თუ გვიან ისტორია დაგვეწევა და ისევ ნამდვილს მუშაობის, მოღვაწეობის გზას დაგვაყენებს,—და მით უფრო მეტი გაგლახი ჩვენ, თუ უვარგისნი, მოუმზადებელი მუშაკნი გამოვდექით მაშინ.

მაშ შორს იყოს ჩვენზე სულ-მოკლეობა, სასო-წარკვეთილება, ცარიელი ლიტონი ვაი და ვიში, სიმხდალე და უქმობა!

გულ-წრფელი და მხურვალი მამულის სიყვარული ცხადად ატყვია ამ მკაცრს, მაგრამ სამართლიანს სიტყვებს.

---

ჰკითხა ერთმა შაე-ჩოხიანმა, გვერდ მჯდომმა, მუდამ მოჰიკჰიკესა, რომელიც ახლად შემოვიდა ვაგონში. ეს იყო შუა, მოხდენილის ტანისა, ცქვიტი, როგორც ნამდვილი იმერელი. რუხი ჩოხა ეცვა და ლამაზი შავი წვერ-ულვაში ამშვენებდა. სახის გამოსახულებაზე და სიტყვა-პასუხზე ეტყობოდა ზრდილობა, კეთილ-შობილება და შინაურულად სწავლულობა.

— რა ქნა და ფული ვეღარ შეიტანა ბანკში, მყიდველი არ გამოჩნდა ტორგში და ბანკს დარჩა.

— ვეი მის ყოფას, გულ-შემატკივრობით წარმოსთქვა პირველმა. ვალს გადახდა უნდა, რატომ არ ფიქრობდა, ვალს არავინ შეარჩენდა. ნეტა რა გასაჭირი ჰქონდა, აგირავებდა?

— რა გასაჭირი ჰქონდა! ცოტა ვალები ემართა, მისთვის ეილო. დანარჩენი დახარჯა.

— რაში დახარჯა, არა გაუკეთებია-რა.

— შე დალოცვილო, კაი სვა, კაი სჭამა, კაი სადილები და ლხინები გამართა. ფაეტონები ხომ ძალიან უყვარდა და მაში წაეიდოდა, უპასუხა მოჰიკჰიკემ.

— ეს მამულები ხომ ჩვენის ხელიდამ გადის, მარა არც ბანკს მოსდის სიკეთე. კაი ზარალში შედის.

— როგორ ზარალში, ბანკი რას დაჰკარგავს? უპასუხა ერთმა იქ მჯდომმა, დაგირავებულია მამული, ვთქვათ, ათას თუმნად, ღირს ათას ხუთასი, ჰყიდის ბანკი მეტათაც და მოგებაში იქნება.

— კაი შენ მტერს, კაი მოგება მან ნახოს. ვინ იყიდის?

— შენ აგრე გეგონოს, ვერავინ იყიდისო. მყიდველი ბევრი გამოჩნდება, სთქვა, გულ-დაჯერებით, მოჰიკჰიკე მოუბარმა.

— საით გამოჩნდება? ფული აღარავის აქვს. ყველას ჯიბე დასცლია და აბა თუ არ იზარალებს ბანკი, მა რა იქნება? დარჩება ბანკს და მერე კვახის ფასად გაჰყიდის. ჰსთქვა პირველმა მოსაუბრემ.

— შენ აგრე გეგონოს, და მოუცადე, კვახის ფასად იყიდო მამული. როგორ გგონია შენ? აქ მარტო მე და შენ მოვალთ საყიდლად თუ? ეს სულ აქანა მიიხედ-მოიხედე დაჩა არაა? მოვა ლემენცი და ფრანცუზი, და იყიდის. ააშენებს სახლებს, რკინის გზა ეს არის, მოვა სხვა-და-სხვა ქვეყნიდამ ხალხი ზაფხულ საგრილობლად და იქნება ნეტარებაში.

— კი, თუ ისე მოვიდა, რავარც ფრანცუზმა გააჩინა ბალი ჩვენ ახალსენაკში! დაცინვით ჰსსთქვა ერთმა აქ მყოფთაგანმა.

— კაი ბალი ჰქონდა. რა ყვავილი გინდა იქ არ იპოვიდი? ეზო სამოთხეს გავდა, სახლი კი დაეწვა, რა ქნა, ააშენა?

— კიდეც ეგ არის. დაზღვეული ჰქონდა სტრახში, გამოიტანა ოთხასი თუმანი, დააგდო მამულიცა და სახლიცა, და გეიქცა. აი ნემენცები და ფრანცუზები რას შვრებიან. ბალი გააკეთაო? აბა ახლა ნახე, რა აოხრებულია ის ბალი. დაჩები გაკეთდა! დაცინვით ჰსთქვა ახალ-სენაკელმა.

— ერთი მაგისთანა თუ მოვიდა, ასი სხვა მოვა, უთხრა მოჰიკჰიკემ. მოვა და ისიც ისე წავა. ჰსთქვა მისმა მობაასემ. მამულები ისევ ჩვენ ჩაგვივარდება და ნაკლებ ფასად ვიყიდით.

— კი, წავა! ონანოვი რომ არის, ვარციხე და აჯამეთი რო დეიჭირა, მისთანებს ნახავ. შენ გგონია, ჩვენ რომ ფული არა გვაქვს, გარეთაც, სხვა ქვეყნებში ფული არ იყოს. მილიონებს ატრიალებენ, ვაჭრები არიან, ფაბრიკები აქვთ. მათთვის ერთი მილიონი მითამც არა ყოფილა. თავის სიამოვნებისთვის ნახევარ მილიონს მისცემენ და დაჩებს გაიკეთებენ აქეთ, აი შენ გვერდით. ონანოვისთანა მამულებს კი არა, მასზე უკეთესებსაც. ჩვენი დაგირავებული მამულები, ბანკში იქნება თუ ისე, ვისმე ხელში, სულ მათ დარჩებათ, წავა. მოხვალ, ჩემო გრიგოლ და ნახავ, ამ ოც-ორმოც წელიწადში აქ ჩამწკრივებულ დაჩებს.

— მაშ, შენის ფიქრით, ჩვენი მამულები ვიცხა მოსულ ფრანცუზს, თუ ლემეცს ჩაუვარდება ხელში და ჩვენ-კი ცარიელები დავრჩებით რაღა? ჰკითხა ყოყმანობით პირველმა მოსაუბრემ.

— ჩაუვარდება, შენ არ მომიკვდე. მოვა შენი შვილი და შვილის-შვილი მასთან მუშად. თუ ჩვენ თავს ეხლავ არ ვუპატრონეთ და საქმე მაგრად არ დავიჭირეთ, უთხრა მოჰიკჰიკემ.

— თუ არ გავყიდი მამულს და არ დავაგირავებ, რად გავხდები აგრე?

— ძალიან ეჭვი მაქვს. ფაიტონები რომ გიყვარს და ლხინს რო დაჩვეულხარ, დაგახარბებს ფულს. ას თუმნიან მამულში ორ-ასს მოგცემს, და გეიკეთებს დაჩებს. განა მე-კი არ ვიცი, თუ კაცი კაცობს, სისხლით მოპოებულ მამა-პაპის მამულს ქანგიან ფულზე არ გასცვლის. მაგრამ ვინ იცის, ბევრი კი ვართ ამისთანა?..

ანჩხატელი

სექტემბერი, 1885 წ.

***

გარდაცვალებული აქსაკოვი ამისთანა პატიოსანი და პირდა-პირი კაცი იყო. ამას პირფერობა არ უყვარდა. იმავე ნომერში მან აღძრა საგანი: «რა არის ჭეშმარიტი და არა-ჭეშმარიტი პატრიოტობა?» და აი ამ საგანზე რა პასუხს იძლევა:

> ჩემის ფიქრით, ჭეშმარიტი პატრიოტობა პუბლიცისტისთვის, მაგალითად, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ყველას პირში თამამად, უშიშრად უთხრას მართალი, როგორც თვითონ ესმის, თუმცა წინადვე იცოდეს, რომ ეს მართალი ბევრს გულში ტყვიასავით ეცემა.

ეს გულ-წრფელი და პირ-და-პირი სიტყვა ბევრს არაფრად იამა. და სინიდისის გასაწმენდათ თავის მართლობა დაიწყეს. პირში მართლის თქმას მეტადრე იმ კილოთი, რომელიც აქსაკოვს ჩვეულებათა აქვს, ჭეშმარიტი პატიოსნების წინააღმდეგიაო.

ამაზედ ჟურნალი «Вѣст. Евр.» საფუძვლიანად ამბობს:

> თუ რა კილო შეეფერება ჭეშმარიტს პატრიოტობას, ამაზედ ლაპარაკი მეტი და უმნიშვნელო გვგონია. პატრიოტული თუ არა-პატრიოტული შეიძლება მხოლოდ საქმე, ან სიტყვა და არა სახე სიტყვისა. სიტყვა პატრიოტობის წინააღმდეგია, როდესაც, მაგალითად, ვინმე ამხილებს საიდუმლოს, რომელიც მტრისაგან დაფარული უნდა იყოს. «მხოლოდ ჭეშმარიტის პატრიოტულ გრძნობით გატაცებულს კაცს», სამართლიანად შეჰნიშნავს ბ-ნი აქსაკოვი, მოუვა ხან-დის-ხან, მეტადრე სასწრაფო საქმეში და წამოსცდება მკვახე და ფიცხელი სიტყვაო».

## ვარსკვლავთა წყდომა

ნოემბრის 15-ს, საღამოს ექვს საათიდგან დაწყებული 10 საათის ნახევრამდე ტფილისის ქალაქში მრავალი ნასწავლი კაცი შეჰსცქეროდა ცას და განცვიფრებით ადევნებდა თვალს ვარსკვლავების ფრენას. ციურნი მნათობნი ისეთს მოძრაობაში იყვნენ, ისე ზედი-ზედ ცვიოდნენ, რომ მაყურებლებმა, გაზეთებში რომ დაწერეს ეს გასაოცარი ციური მოვლენა, სახელად უწოდეს ვარსკვლავთა წვიმა. ტფილისის ქალაქში მცხოვრებნი მეცნიერნი ამტკიცებენ, რომ დავთვალეთ და ერთს საათში 20,000 ვარსკვლავი მოჰსწყდა და ჩამოვარდაო. რომელიც თურმე უფრო ვაშკაში ვარსკვლავი იყო, ის რომ მოჰსწყდებოდა, ლამპარსავით ანათებდა წითლად; ხოლო რომელნიც უფრო ციაგნი იყვნენ, იმათ ლურჯი ფერი ეძლევოდათ. ასრეთნი იყვნენ ისინი ტფილისის ქალაქის ცაზე. გაზეთებში სწერდნენ, რომ დაღისტანში ვარსკვლავების წვიმა უფრო ძლიერი და გასაოცარი იყოვო. მშვენიერი სანახავი ყოფილა თურმე ვარსკვლავი, როცა ის მაღალს მთის გორიზონტზე გადმოუშვებოდა გაბრჭყვინვებული. ქართლში, კახეთში და იმერეთში კი არ ვიცით რა ნაირი იყო მოძრაობა ვარსკვლავებისა ცის კამარაზე. არ იქნებოდა ურიგო, რომ ვისმეს შეეკრიბა ცნობები და მოეწერა—როგორ იყო ეს საოცარი მოვლენა და რას ამბობდა ხალხი მის გამო. კუდიანი ვარსკვლავი რომ გამოჩნდება ცაზე, მაშინ იტყვიან ხოლმე ქართველები, რომ ან დიდი ომიანობა იქნება, ან დიდი ჭირიო. უეჭველია, რომ ამ მოვლენასაც ხალხი როგორმე ახსნიდა და თავისებურად რამე მნიშვნელობას მიაწერდა. ამის შესახებ რაჭველების აზრი უკვე ვიცით. ისინი ამბობენ: ვარსკვლავების ასრეთი ბლომათ ფრენა იმის ნიშანი არისო, რომ წლეულს პატარა, ხმელი და სუსხიანი ზამთარი იქნებაო, ასრეთს ზამთარს სახელად უწოდებენ მწიორი ზამთარი. მართლაცა-და ტფილისის ქალაქში თუმცა ამ ჟამად მალიანი სიცივეებია, მაგრამ თოვლი კი ჯერ კიდევ არ გვინახავს. ეს გარემოება, რასაკვირველია, რაჭველების აზრს არ ამტკიცებს, რომ ვარსკვლავების წვიმა იმ მიზეზით იყო, რომ წლეულს მწიორი ზამთარი იქნებოდა. ვარსკვლავთა ფრენის მიზეზად მეცნიერნი სულ სხვა გარემოებას ასახელებენ. თურმე არის ერთი კუდიანი ვარსკვლავი, რომელსაც ეძახიან ბიელა. ის მუდამ დადის ერთ მანზილიდამ მეორე მანზილამდე. რომ გაიაროს ეს მანზილი, იმას სჭირდება ამისთვის ათ წელიწად და ნახევარი; და როცა ცის კამარაზე ტრიალით მოდის უკანვე იმ ადგილს, სადაც პირველად იყო, მაშინ რაღაც ნაირად მოქმედებს სხვა ვარსკვლავებზე და ისინი სწყდებიან და ცვივიან. ეს ასრე დაამტკიცა მეცნიერმა სკიაპარელამ. იმის სიტყვით ეს მოვლენა ცაში კიდევ მოჰსხდება, როცა გავა კიდევ ათ წელიწად ნახევარი.

მ. დ. ჯანაშვილი

# დეპეშა

იანვრის 28

**ლონდონი.** დღეს შუა დღის შემდეგ კვლავ შეკრბა ხალხი ტრაფალგარდის ხასხეირნო ბაღში, მაგრამ პოლიციამ გაფანტა ეს კრება და მხნედა ცდილობს წესიერება დაამყაროს.

**ათინა.** ფიქრობენ, რომ კრიტის კუნძულზე ქუდზე კაცი აჯანყდებაო და ეს ამბავი, უთუოდ, ომს გამოიწვევს საბერძნეთისა და ოსმალეთის შორისო.

**ბერლინი.** პრუსიის სეიმს წარუდგინეს პროექტი კანონისა, რომ მმართებლობას მიეცეს ასი მილიონი მარკა, რათა გერმანიის კოლონიზაცია გაავრცელოს დასავლეთს პრუსიასა და პოზნანში, შეისყიდოს პოლშელების მამულები ამ მხარეში და დაურიგოს ნემეც კოლონისტებს.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ **1886** წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა — 23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

**იანვარი** 31 დღით არის.

30 დღე ხუთშაბათი. წმ. დიდთ-მღვდელ-მთავართა: ვასილი დიდისა, გრიგოლ ღვთის-მეტყვ. და იოანე ოქროპირისა. სომხ. წმ. ადრიანესი; კათოლ. ქალწულისა მარტინასი. მუსულმ. დაბადება ა ლ ი ს ა (სუნიტის მოძღვრ.) ჭეშმარიტი შუადღე 12—14—28. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 5—26; მთვარე ამოდის 10—55; ჩადის 11—22.

31 დღე პარასკევი. წმ. საკვირველმოქმედის კვირილსი, იოანესი, ხსოვა შიომღვიმელის სასწაულისა. სომხ. მარხვაა. კათოლ. პეტრესი. 5—46 წ. ტფილისში იწყება პირველი ხარისხი მთვარისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—27. ტფილისში მზე ამოდის 7—1; ჩადის 5—29. მთვარე ამოდის 11—35. ჩადის 12—24 ნღ.

**თებერვალი** 28 დღით არის

1 დღე შაბათი. წმ. მოწამე ტრიფონ, სომ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა; კათოლ. ეგნატესი ეპ. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—26; ტფილისში მზე ამოდის 6—58; ჩადის 5—30; მთვარე ამოდის 12—21; ჩადის 1—25 ნღ.

2 დღე კვირა. მიგებება უფლისა, აგრეთვე კათოლიკეთა; სომ. ალების ლამე არაჯაორაც მარხვისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—24. ტფილისში მზე ამოდის 6—57. ჩადის 5—32; მთვარე ამოდის 1—12; ჩადის 2—26 ნღ.

3 დღე ორშაბათი. წმ. სვიმეონ ღვთის მიმრქმელისა, წინასწარმეტყველისა ანნასი. კათ. ბლიაზისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—21; ტფილისში მზე ამოდის 6—55., ჩადის 5—33. მთვარე ამოდის 2—13; ჩადის 3—28 ნღ.

## გამოსადეგი ცნობანი.

### მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

| | |
|---|---|
| რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ. | 5 კ. |
| ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა. | 2¼ » |
| » » 2 » | 2 » |
| ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა | 4½ » |
| მე-2 ხარისხისა | 3½ » |
| მე-3 — | 3 » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 » |
| 2 — | 7 » |
| ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი | 14 » |
| ცხვრის ხორცი | 7 » |
| ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ. | 5 » |
| 2-ის ხარისხ. | 4 » |

### მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

### ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 6. წ. დ.

### მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კაჯკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კაჯკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კაჯკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კაჯკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კაჯკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.


## განცხადებანი

### ბიბლიოგრაფიული ცნობა.

დაიბეჭდა სახელმძღვანელო რუსულის ენისა

**Начальный Курсъ русскаго языка для грузинъ),** შედგენილი გერ. კალანდარიშვილისა, მერვე გამოცემით, რომელიც სრულიად გადაკეთებულია იაკობ გოგებაშვილის მიერ. ეს ახალი გამოცემა იჭერობს; ლექსიურს განყოფილებას, პირველად შეტანილს წიგნში, ხელ-ასლად შედგენილს რუსულს ანბანს ბეჭდურს და ხელ-ნაწერსა;— განყოფილება სიტყვათა და ფრაზათა შემოკლებულია და მოშორებული გრამმატიკულს განმარტებათა, ქრისტომატიაც გარდაკეთებულია და შეიცავს ახალს: მოთხრობებსა, ლექსებსა, აღწერათა (სურათებიანსა) და თავდება რამდენიმე სურათებიანი მოთხრობით საღმრთო ისტორიიდგან. უწინდებურად გამოცემას ბოლოში აქვს ჩამატებული რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც იჭერობს სამი ათასამდის სიტყვასა. ფასიც დაკლებულია და წიგნი ღირს ცხრა შაურად. ვინც ერთბამად იყიდის ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ოცის ცალისა, წიგნი დაეთმობა ორ აბაზად; ვინც წაიღებს არა ნაკლებ ორმოცდა ათის ცალისა, წიგნი მიეცემა 36 კაპეიკად. გამოცემა აწყვია გამომცემლის ზაქარია გრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან (Кавказская книжная торговля).

8—4

**ОТКРЫТА ПОДПИСКА**
**на 1886 годъ**
НА ГАЗЕТУ
**„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“**
(III ГОДЪ ИЗДАНІЯ).

выходитъ ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.

Газета въ 1886 году будетъ выходить подъ прежней редакціей по прежней программѣ, при участіи тѣхъ-же сотрудниковъ.

подписная цѣна съ доставкой и пересылкой:

| | | | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 10 р. — к. | На 6 мѣсяцевъ | 6 р. — к. |
| » 11 » | 9 » 50 » | « 5 » | 5 » 25 » |
| » 10 » | 8 » 75 » | « 4 » | 4 » 75 » |
| » 9 » | 8 » — » | « 3 » | 3 » 50 » |
| » 8 » | 7 » 25 » | « 2 » | 2 » 75 » |
| » 7 » | 6 » 50 » | « 1 » | 1 » 50 » |

За границу на годъ 17 руб., на полгода 9 руб. 50 коп.

За перемѣну адресовъ уплачивается: иногороднаго на иногородный—40 к., городского на иногородный—1 руб.

Подписка принимается не иначе, какъ съ перваго числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія; на всѣхъ языкахъ, принимаются въ Тифлисѣ - въ конторѣ редакціи, при газетномъ агентствѣ Шавердова; въ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени“. Иногородные адресуютъ свои требованія въ г. Тифлисъ, въ контору редакціи „Новаго Обозрѣнія“, при агентствѣ Шавердова.

Статьи и корреспонденціи адресуются въ Тифлисъ, въ редакцію «Новаго Обозрѣнія». Принятыя статьи могутъ подлежать сокращеніямъ и поправкамъ. Мелкія рукописи, размѣромъ не болѣе двухъ писанныхъ листовъ, не возвращаются. Прочія возвращаются по личнымъ требованіямъ авторовъ и сохраняются только въ теченіе одного мѣсяца. Ни въ какую переписку по поводу напечатанія или ненапечатанія присланныхъ статей редакція не входитъ. статьи, доставленныя безъ опредѣленныхъ условій гонорара принимаются какъ безплатныя. Редакція открыта для личныхъ, объясненій отъ часу до двухъ по полудни.

(9—5)

### ქალაქის გამგეობა

მოიწვევს მათ, ვისაც ჰსურსთ, ქალაქის წყლის-გაყვანისთვის საჭირო მიწის სამუშაო ნარდად აიღონ, მობძანდნენ გამგეობის სადგურში მოშაველის თთვის თებერვლის 7-ს, დილის 12 საათზე. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ-დღე გამგეობაში, დილის 10 საათიდგან, შუა-დღის 2 საათამდე.

(3—3)


Дозволено цензурою Тифлисъ 29 января, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა სასერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.